სახალხო გაზეთი

№ 876 სამშაბათი, 23 აპრილი 1913 წ. № 876

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვეკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. საშვლოვიერო განცხადების დასაბეჭდავ პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ ოვით სტამბა „შრომა"-ში, მაბარნის ეუნა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაპრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გაშოკვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებითი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მნაცაკან იეგორის ძე ფრიდონოვი ღრმა და გულითადის სიმწუხარით იუწყება ძვირფას ძმის

გრიგოლ იეგორის ძე ფრიდონოვის

ოეცრივ გარდაცვალებას. განსვენებული გარდაიცვალა 20 აპრილს. პანაშვიდი 22 და 23 აპრილს, ორშაბათს და სამშაბათს, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე, სერგეევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 11. გამოსვენება ოთხშაბათს, 24 აპრილს, დილის 11 საათზე, განსვენებულის ბინიდან. წირვა-პანაშვიდი გადახდილი იქნება წმინდა ღვთისმშობლის სახელობის ნორაშენის ეკლესიაში, დაკრძალვა ხოჯევანქის სასაფლაოზე. 237.

ძმათა **გ. ე.** და **მ. ე. ფრიდონოვების** კანტორის მოხელეები ამით აუწყებენ ძვირფას

გრიგოლ იეგორის ძის ფრიდონოვის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია 23 აპრილს, საღამოს 7 საათ. თვის სადგომში (სერგეევის ქ. № 11). მიცვალებულს გამოასვენებენ ოთხშაბათს, 24 აპრილს, დილის 10 ს. ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიაში. დაკრძალვა ხოჯევანქის სასაფლაოზე. 243.

ბაგრატ დავითის ძე ლაზარაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, უდროოდ გარდაცვალებას თვისის მეუღლის

ბაბალესას

დაკრძალვა სოფ. ქვემო-ნიქოზში სამშაბათს, 23 აპრილს. 241.

იაკობ ლომინის ძე შევარდენაძე სპარსეთიდან ულრმეს მადლობას სწერავს ყველას, ვინც ძვირფასი დედის **ეკატერინა შევარდენაძის (ასათიანის ასულის)** ავადმყოფობისა და მერე დამარხვის დროს, 26 იანვარს რაიმე დახმარებით, პირადის დასწრებით და სხვა თანაგრძნობით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და ამით შეუმსუბუქა მას მძიმე მწუხარება, მით უმეტესად, რომ სამსახურის სიშორის გამო თითონ მოკლებული იყო საშუალებას უკანასკნელი ვალი გადაეხადა დედის წინაშე. 1172

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

ბ. ბეგლარიძის წარმოდგენა. ხუთშაბათს, 25 აპრილს, 1913 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ **ვასილ ბაბაშიძის** და **ვიქტორ გამყრელიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ი. გედევანიშვილისა

მსხვერპლი

მოძრაობის დროის სცენები სოფლის ცხოვრებიდან 3 მოქმედებად. მეორე მოქმედებაში იმერეთს ქართველ მომღერალთა გუნდი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. მიზან-სცენები **ვალ. შალიკაშვილისა.**
1171 **რეჟისორი ვალ. გუნია.**

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ორშაბათს, 24 აპრილს, სახ. ს. ხ. **ალ.** ქართ. ახ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგ. იქნება მსახ. **ნ. გვარაძის** მონაწილეობით ცნობილი დრამა ებრაელთა ცხოვრებიდან

ებრაელები,

4 მოქ. ჩარიკოვისა, თარგ. გუნიასი. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: **პიერეტა,** მ. რომანიშვილისა და ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი: გ. ანაშვილი, **ნ. გვარაძე,** ს. თავდიშვილი, ა. კაკაბაძე, ვ. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, **გ.** სვანელი, **გ.** ფრონსპირელი, **მ.** ჭიაურელი, **ნ.** ჭანკვეტაძე, **კ.** ხახანაშვილი და **თანამშრომელნი.**

ადგილების ფასი 5—50 კ. **დასაწყ. სალ. 8-ნასევ. ს.** ✦ შემდეგი წარმოდგ. 28 აპრილს.
1160 **რეჟისორი ალ. წულუკიძე.** **თანაშემწე ნ. ჭანკვეტაძე.** ქ. ს. წ. მმარ. წ. ად.

ქართული თეატრი

სამშაბ., 23 აპრილს, დილით, ტფ. ქალთა უმაღლეს კურსებ. ლექტორი ბ-ნი **სარგის კაკაბაძე** წაიკითხავს საჯარო **ლექციას** ქართულად თემაზე:

„შესა რუსთველის ცხოვრების დრო"

(ორ ნაწილად). ლექციის შემდეგ შეიდგება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ (გვარები ანბანზე): ბ-ნნი იუსტინე აბულაძე, სერგეი გორგაძე, დავით კარიჭაშვილი და მოსე ჯანაშვილი. თავმჯდომარედ იქნება ბ-ნი გრიგოლ რობაქიძე. შემოსავალი, გადადებულია „ვეფხის-ტყაოსნის" ახალ ტექსტის გამოსაცემად.

დასაწყ. დილის 11 ს ბილეთები იყიდება. 218

ახალი კლუბი

სამშაბათს, 23 აპრილს, 1913 წელს.

1-ლი საოჯახო საღამო ვლადიმერ გრიგოლის ძის რუტკოვსკისა.

ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის **ცნობილის მუსიკოსისა და კომპოზიტორის ბ-ნ**

ნ. დ. ნიკოლაევის

მონაწილეობით და **ს. ი. პრესმანის** ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება ნ. დ. ნიკოლაევის ნაწარმოებნი. დაწვრილებით პროგრამებში. ადგილების ფასი 50 კაპ. 2 ძ.-მდე, გალერეია ყველასთვის ხელმისაწვდომია. სტუმართათვის კლუბში შესახვლელი ფასი დაკლებულია მამაკაცთათვის 50 კაპეიკამდე და მანდილოსანთათვის 25 კაპეიკამდე.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 1162.

7 აპრილდან, ბაიხანა

საფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზია, ფირმით

„სოლოტატი"

ხოლოლაკის ქუჩაზე, ტფილისის საერთაშორისო ნდობის საზოგადოების ახალ სახლში.

ჩემი 25 წლის პრაქტიკა კავკასიის საფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიის გამგეს თანამდებობაში, საქმის ცოდნა და აგრედვე ახალ-ახალი საქონელი, რომელიც მაღაზიაში აწყვია ცნობილ ფირმების უმაღლესი ხარისხისა, ნებას მაძლევს იმედი ვიქონიო ტფილისის საზოგადოების ყურადღებისა, რომელიც სავსებით დარწმუნდება საქონლის კეთილსინდისიერ გაყიდვაში.

1143 **არტემ ბაგდანოვიჩ ოვჩიევი.**

ქ. გორი

სამშაბათს, 23 აპრილს, გორის საკრებულოს დარბაზში გაიმართება
საინტერესო-ორგინალური სალიტერატურო-სამუსიკო

საღამო-მეჯლისი

სამს დიდ გაყოფილებად.

კიტა აბაშიძე **მონაწილეობას მიიღებენ:**
დავ. კლდიაშვილი
ნ. გოცირიძე
კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი
ი. შაშიანელი
თ. რაზიკაშვილი
ს. ფაშალიშვილი
გ. ახოსპირელი
გ. ძუჩიშვილი
ი. მჯედლიშვილი
და სხვანი ადგილების ფასი ჩვეულებრივია, დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. გამგენი **ივ. დიმ. კვალიაშვილი. ს. გძელიშვილი.** ბილეთები ამთავითვე იყიდება, ქალაქის აფთიაქში ივ. კვალიაშვილთან, საურთიერთო ნდობის ბანკში ს. ჩუტკერაშვილთან, ილ. სესიაშვილის მაღაზიაში და სანდრო გძელიშვილთან. 1161

ქართული თეატრი

შაბათს, 27 აპრილს, 1913 წ. გაიმართება

ქართული კონცერტი

ტფილისის ფილარმონიული ქართული საზოგადოებისა.

I განყ. სიუიტა „ივერია" მ. მ. იპოლიტოვ ივანოვისა, შეასრულებს „ახალი კლუბის" გაძლიერებული ორკესტრი.

II განყ. მე-3 მოქმედება ქართული ოპერიდან „აბესალომ და ეთერი" ზ. პ. ფალიაშვილისა. ლიბრეტტო პ. მირიანაშვილისა.

III განყ. ა) ქართული ხალხური სიმღერები და solo ქალ-ვაჟთა ხოროსათვის და ორკესტრისათვის.
ბ) ნაწყვეტები ოპერიდან „აბესალომ და ეთერი".

მონაწილეობას იღებენ: ქბ. კოლოტოვისა, პრესინსკისა, კოვალენსკისა. ბ. ბ. გოფმანი, დუელი და აგასოვი. **ქართული ფილარმონიული საზოგადოების** გაძლიერებული ხოროდა **ახალი კლუბის ორკესტრი**—ხ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

ფასები საბენეფისო
ბილეთების დაკვეთა შეიძლება კასაში. 1154.

ცირკი ძმ. ესიპოვსკებისა

მახ. პროსპ., მუშტაიდის მახლობლად.

დღეს, 23 აპრილს, **საზეიმო წარმოდგენა.** დანიშნულია ახალ მსახიობთა დებიუტები! პირველი დებიუტი **ეანგლიორის ბ. რაკისა.** აგრედვე პირველი დებიუტი ჩინეთის სასახლის მსახიობის **ჯენ-სენ-დინისა** თავის საიდუმლო აბგით. **ბამოცანა XX საუკუნისა.** გასტროლების გაგრძელება შესანიშნავ მოჯირათე ქალის **ბომარკ თამარასი.**

1174 **დასაწყისი სრულ 8 ს.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძველებურად ძუძა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 3—3.
	მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12—1.
	ფეიდორეული ე. ბ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
	ექ. ჭალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკეზიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ყოველ-დღე 11½—12½.)
	მელიქ-შვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და საშოსნეულებანი.	**ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	ოიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
	მელიქ-შვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ჭალი ბაქრაძე-დელაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფეიდორეული ე. ბ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	ჯავახიშვილი ნ. ნ. (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს.
	ფონდოევი, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყელ., ყურ., ცხვ.	**ბოენიანცი ნ. ბ.** (ყოველ დღე) 12½—1½
	ორეშბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის ანალ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
ენ. ფეტ.	**დიასამიძე ბ. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მიწყობილი საკუთარი სამეკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მზობიარობა 10 დღე წოლითურნ 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „ᲩᲝᲑ" 9¼ და **წამლის შეუშაკუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის ვერცხ. ძიძათა შეგირდების ... 1135

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.

ეპალიერის (обой) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლეგისა.

განყოფილება იმყოფება გოლოვ. პროსპექტზე, № 21, ტელ. № 335.
მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარეშე მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. ბ. მეგრაბიანცი

ნამლობა ჭლეკისა, იღებს შინაგან ნენ. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოთორაკსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოლაკი.** ბებერთოვის ქ., № 23 (ვანოვის ქ. კუთხე).

ტელეფ. № 7—93. 97

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება **რენტგენის** სხივებით. ვერა ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1092

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ბუფეტი „სტივენ"

ყოველ ყამს ცოცხალი თევზი.

✦ **აზიური საჭმელები** ✦

ახალის სანოვაგისა

ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის. **ფასები ძლიერ ზომიერია.** 1114

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ტიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგიხა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ., № 94,** კიროსნი ქუჩის ახლოა, საფოსტო ბანყოფი. პირდაპირ. 102

ექიმი ე. ი. ჭინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება

პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathien.

იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ქუთაისში

ვ. თ. ტყეშელაშვილი.

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ექიმი შ. ა. მიქელაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. ალხეთის ქ., № 6.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარეშე ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფებს.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოვ. ღ., შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდ. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. ბობოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ., ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი ოთხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ.-ბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომბრეულია.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტეიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოთხოვებით.

ნამლობა „606"-ით. 1053

ამერიკულ ვაზის სანერგეები

„გიორგის ზრდა"

დამზადებულია მრავალი ვაზის ნამყენი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ევროპიული ჯიშებისა. ასი 5 მანეთი. შეიძლება ნახევარის ფასადადებითაც გაიგზავნოს. მისამართი:

Ст. Гоми, Георгію Бетановичу Татіеву. 1142

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **დღეს, 23 აპრილს, ქართულ** თეატრში სარგის კაკაბაძე წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას „შოთა რუსთაველი და მისი ცხოვრების დრო. ლექციის შემდეგ შესდგება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ იუსტ. აბულაძე ს. გორგაძე, დავით კარიჭაშვილი და მოსე ჯანაშვილი. დასაწყისი დილის 11 საათზე.

✦ **დავით გარეჯის მონასტერი** ამ დღეებში დაათვალიერეს ისტორიკოსმა ეკვთიმე თაყაიშვილმა და საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინმა არქიმანდრიტმა ნაზარიმ. ბ-ნმა თაყაიშვილმა ყველა წარწერა გადაიღო.

✦ 2 მაისს, ქართულ თეატრში **დავ. კასრაძე** გამართავს სალიტერატურო საღამოს.

✦ **ტფ საბოტანიკო ბაღში** მომავალ წლიდან სამი ახალი თანამდებობა დაარსდება: ერთი-სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის და ორი-მცენარეთა ავადმყოფობის გამომკვლევ სპეციალისტებისა.

✦ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი **ბ-ნი შაშკოვსკი** მუღანიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **საბირჟო ცნობები.** 22 აპრილს შეთანხმება არ მომხდარა. სარგებლიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 70 კ., აძლევენ—85 მან. 50 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. 25 კ. აძლევენ—82 მან. 65 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან., აძლევენ—77 მან. 75 კ.

✦ **ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი,** სახელმწიფო საბჭოს წევრი, ს. ი. ტიმაშევი, 21 აპრილს, შუადღისას, ტფილისში ჩამოვიდა. რკინის გზის სადგურზე დაუხვდნენ მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი, მეფის მოადგილის საბჭოს წევრი ნ. ფ. ჯუნკოვსკი, სახელმწიფო ბანკის გამგე დ. ვ. ბეზობრაზოვი და სხვანი. ამ დღეს მინისტრი სადარბაზოდ იყო მეფის მოადგილის თანაშემწე გენერალ ნ. ნ. შატილოვთან. მინისტრი ამავ დღეს ავტომობილით კავკავს გაემგზავრა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ცეცხლის მქრობელ თავისუფალ საზოგადოების** გამგეობამ დაადგინა, მაისის პირველ რიცხვებში დიდი სახალხო სეირნობა გამართოს საზოგადოების ნივთიერ ღონის-ძიებათა გასაძლიერებლად. სეირნობის მოსაწყობად აირჩევენ საგანგებო კომისიას, რომლის წევრადაც საზოგადოების გამგეობის გარდა მიიწვევენ სამხატვრო, სამუსიკო, სასპორტო და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ.

✦ **სავაჭრო ბანკის** წევრთა კრება 21 აპრილს მოხდა ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. როგორც გამოირკვა, ბანკს უკვე ნაღდ ფულად ჰქონია 2 მილიონ ნახევარი მ. ასარჩევი იყვნენ თანამდებობის პირნი. ბანკის საბჭოს წევრობაზე ყუთი დაიდგა 15 კაცმა (ასარჩევი იყო 8 კაცი) 10 კაცი გაშავეს. აირჩიეს: ა. ნ. მილოვი, ა. იუზბაშევ-ხანსაკი, მ. ი. არამიანცი, ბაღდასაროვი და ა. ენფიანჯიანცი. დანარჩენ თანამდებობის პირთა არჩევნები შემდეგ კრებისთვის გადაიდო.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა** რწმუნებულების კრება დანიშნულია 24

აპრილისთვის, საღამოს 8 საათზე. განსახილველი საგნები: 1) 1913 წლის შემოსავლის აღრიცხვა, 2) ხარჯის ამკრეფ მამასახლისისა და მის სამის თანაშემწის არჩევა და 3) გუბერნატორის წინადადება: განხილულ იქმნეს ხელმეორედ საკითხი მდაბიო მოქალაქეებზე, 18 წლიდან საზოგადო გადასახადის შეწერის შესახებ. უკანასკნელ საკითხის განსახილველად საჭიროა დასწრება არა ნაკლებ 50 რწმუნებულისა. ამიტომ მოქალაქეთა მამასახლისმა რწმუნებულთ საგანგებო ბარათები დაუგზავნა, რომლითაც სთხოვს, 24 აპრილის კრებას აუცილებლად დაესწრნენ.

სასწავლებლებში

✦ **ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის** უმაღლეს ნებართვით დაერქვა იმპერატორ ალექსანდრე პირველის ტფ. სავაჟო გიმნაზია. ამის გამო გუშინ დილით, სასწავლებლებში სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს, რომელსაც დაესწრნენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი ლაპატინსკი, სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭო, მოსწავლენი და მიწვეული პირნი. გიმნაზიის დირექტორმა ლ. ი. ზუბალოვმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.

✦ **ებრაელთა სკოლა.** ახალი შენობა, რომელიც ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოებამ თავის ხარჯით ააგო, კვირას, 21 აპრილს, აკურთხეს მრავალ ხალხის თანადასწრებით.

✦ **ქართულ საათავად-აზნაურო გიმნაზიის** ბოლო კლასის (8) მოსწავლეებს ეგზამენები 24 აპრილს დაეწყებათ. ეგზამენის დაჭერის ნება წელს ყველა მოსწავლეს დართეს.

ᲒᲝᲠᲘ.

✦ დღეს, გორის საკრებულოს დარბაზში კიტა აბაშიძისა და დავით კლდიაშვილის მონაწილეობით გაიმართება სალიტერატურო-სამუსიკო **საღამო-მეჯლისი.**

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

✦ ქალაქის ახალი საავადმყოფოს გამგეს არჩევანი უნდა მოხდეს ამ ცოტა ხანში. მსურველი ამ ადგილის დაჭერისა ბევრი აღმოჩნდა.

✦ თ-დი კიტა აბაშიძე ამ დღეებში აპირებს ვორონეჟში წასვლას, შავი ქვის მრეწველთა კრების გამო.

✦ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმა განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის ფონდის სასარგებლოთ 100 მანეთი გადასდო.

ᲒᲕᲘᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲤᲗᲘᲚᲘᲡᲨᲘ

გვირილობის დღესასწაულმა შუადღისას, როდესაც წვიმამ გადაიღო, კარგი ელფერი მიიღო. ქალაქში, განსაკუთრებით უმთავრეს ქუჩებზე, ხალხის ტევა აღარ იყო. გასასყიდად მრავალი გვირილა 140,000 ცალი იყო დამზადებული, მაგრამ ხალხმა ისე სწრაფად დაიტაცა, რომ ქალაქის უმთავრეს ქუჩებსა და მოედნებზე თეთრი ყვავილი დააკლდათ და იასამნის გაყიდვას შეუდგნენ. ბოლოს იძულებული ხდებოდნენ, მყიდველებისთვის გვირილა უკანვე გამოერთმიათ ხელმეორედ გასასყიდად. ყვავილების კალათების რიცხვი სულ 400 იყო, ხოლო ყულაბებისა — 500.

ერევნის ძეგლდასმა, გოლოვინის პროსპექტსა და მიხეილის ქუჩაზე სამხედრო მუსიკა უკრავდა, ხოლო ავლაბრის მოედანზე—ზურნა. ამის გარდა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, სასწავლებლების წინ მოსწავლეთა ორკესტრები უკრავდა.

სრულ 2 საათზე მიხეილის ქუჩაზე გამოჩნდნენ საგანგებოდ მორთული ეტლები და ავტომობილები და ნელ-ნელა ვორონცოვის ხიდით ერევნის მოედანზე მოვიდნენ. ეტლებსა და ავტომობილებში ისხდნენ მანდილოსანნი. ერთს ავტომობილში სამხედრო მუსიკა უკრავდა სადღესასწაულო მარშსა.

საგანგებოდ მშვენივრად იყო მორთული ტრამვაის ერთი ვაგონი № 30, რომელიც ტრამვაის დირექციამ უსასყიდლოდ დაუთმო ქალქთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას და რომელიც მთელს დღეს დადიოდა ქალაქის სხვა და სხვა უბანში.

სამწუხაროდ ნაშუადღევის 5 ნახ. საათზე მშვენიერი ამინდი კარგად მსხვილ წვიმით შეიცვალა და მრავალი ხალხი სახლში გაქცია. ღამის 10 საათზე წვიმამ გადაიღო და ყვავილების გამყიდველი ქალები ქუჩებსა, თეატრებსა, პროჟექტორებსა, რესტორანებსა და სხვა ადგილებს მოედნენ და ორშვიათის ხალისით ჰყიდნენ ყვავილებსა.

ღამის 12 საათი იყო, როდესაც ფულიანი ყულაბები ქალაქის გამგეობაში სრულად მოიტანეს. ყულაბები შეინახეს ქალაქის გამგეობის კასაში, დაბეჭდეს იმავ ღამეს და დარაჯები მიუჩინეს.

კვირას, 21 აპრილს, დილის 10 საათზე, ქალაქის გამგეობისა, ქლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების გამგეობისა, პრესის წარმომადგენელთა და პოლიციელთა თანადასწრებით ყულაბები გახსნეს და ქალაქის საბჭოს დარბაზში ფულის თვლას შეუდგნენ. ამ დღეს ფულის თვლამ ღამის 12 საათამდე გასტანა, ფულის თვლა გუშინაც გაგრძელდა. გუშინ, ნაშუადღევის 3 საათამდე, გახსნილ ყულაბებიდან ამოიღეს 14,450 მან. თვლა სამის საათის შეძდეგაც გაგრძელდა. იმედია, რომ მთელის დღის შემოსავალი შეწირულებასთან ერთად 17,000 მან. მიაღწევს.

საქართველოს ექსარხოსმა ინოკენტიმ სამ ყულაბაში ჩაადგდო 135 მ. ამას გარდა კნეინა მ. მ. თუმანოვისამ, მისმა დებმა ა. მ. ათაბეგოვისამ და ო. მ. ბაბალოვისამ და ძმებმა ისაია და პავლე მარკის ძე დოლუხანოვებმა ქლექთან მებრძოლ საზოგადოებას შესწირეს 1,500 მან. თავიანთ დედის ხსოვნის აღსანიშნავად. ამ ფულით ერთი საწოლი უნდა მოეწყოს აბასთუმანის სანატორიუმში. იყო სხვა შეწირულებანიც.

ᲛᲔᲤᲕᲔ ᲔᲠᲔᲙᲚᲔᲡ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

სამმა პიროვნებამ ღრმად აღბეჭდეს კვალი ქართველი ერის სისხლით დაწერილ ისტორიის ფურცლებზე. ესენი არიან: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და ერეკლე მეორე. სამივე მეფის ღვაწლი რთული და მრავალ მხრივია, ხოლო ერეკლეს მეფობა მით უფრო რთულია, რადგან მის მეფობაში გადაწყდა ქართველ ერის ცხოვრების ისეთი დიადი და ნიშანდოვანი მოვლენა, როგორიც პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვა არის. მკაცრმა ისტორიამ ერეკლეს ორგვარი სახელი უწოდა, ერთის მხრით დიადი სარდალი, სამხედრო ჭენიოსი, მეფე, რომელიც შიშსა ჰგვრიდა მეზობელ ერებს და რომლის მამაცობით ევროპაში განცვიფრებულნი იყვნენ: (ფრიდრიხ დიდი, ლესსინგი, ეკატერინე და სხვა). მეორე მხრით კი უნიკო პოლიტიკოსი, უნებო მეფე, რომელიც დამორჩილებოდა თვისი ოჯახის და ცოლის ჟინიანობას და ჩაფლულიყო სამეფო გვართა ინტრიგებში.

ეს თოთხმეტი წელია მას აქეთ, რაც დიადმა გმირმა, 1798 წ. 11 იანვარს, თელავში განუტევა სული და დღესაც კი ქართველი ერის ისტორიაში გარკვეული და ნათელი პასუხი არ არის მოცემული, თუ ვინ იყო ერეკლე II, იყო იგი მარტო სამხედრო ნიჭიერი სარდალი, თუ მასთანავე ნიჭიერი გამგე პოლიტიკოსი და მხურვალე მზრუნველი თავისი ერის ეკონომიური ⁄ კულტურული ზრდა-განვითარებისა.

ერეკლე მეორე იყო შვილი კახეთის მეფის თეიმურაზ II, დედა მისი კი იყო ქართლის მეფის ვახტანგ VI ასული. ერეკლეს დაბადების ხანა დანამდვილებით არ არის გამორკვეული, იგი ირყევა 1718 წ.—1722 წ. თამარს დიდი გავლენა ჰქონდა ქართლ-კახეთის შეერთების საქმეში; იგი, როგორც ასული ქართლის მეფის ვახტანგ VI, მემკვიდრედ ითვლებოდა ქართლის ტახტზე, თეიმურაზზე გათხოვების შემდეგ კიდევ მოახერხა ქართლ-კახეთის შეერთება. ამ გვარად თეიმურაზი შეიქმნა ქართლის მეფედ, ხოლო კახეთის მეფობა კი ჩაბარა ერეკლეს.

ერეკლეს აღზრდა განვითარების შესახებ ჩვენ არაფერი ცნობები არ მოგვეპოვება. ერეკლე სამჯერ იყო შეუღლებული. სწორედ ამ ბევრ ცოლიანობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ სამეფო საქმეები იწეწებოდა, მემკვიდრეობის დასარჩენად განუწყვეტელი ინტრიგები და შური იყო გამეფებული, სამეფო გვარეულობაში. პირველი მისი ცოლი იყო ვახტანგ ყაფლანიშვილის ასული ქეთევან, მაგრამ ერეკლე, რაღაც მიზეზების გამო, ქეთევანს გაეყარა. ქეთევანი მონოზნად წავიდა და გარდაიცვალა 1750 წ. ამის შემდეგ 1746 წ. ქეთევანის სიცოცხლეშივე ერეკლემ შეირთო ზაალ აბაშიძის ქალი ანნა, ხოლო ანნას გარდაცვალების შემდეგ—დადიანის ქალი დარეჯან, რომელიც სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. რასაკვირველია ამ სამი ცოლისგან ბევრი შვილი ეყოლა ერეკლეს. ამან კი დიდი გავლენა იქონია მის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

მე-XVIII-ე საუკ. საქართველოს ისტორიაში უნდა ჩაითვალოს გამოფხიზლების ხანად. დაქუცმაცებული და ნაპერ-ნაპერ დაფლეთილი საქართველო გრძნობს ერთობის ძალას და იჩენს ერთგვარ ტენდენციას გაერთიანებისას. ამას ამტკიცებს ტრაქტატი ქართლ-კახეთ, იმერთ, ოდიშისა და გურიისა, დაწერილი 1790 წ. ქ. ტფილისს. ტრაქტატი შესდგება 6 მუხლისაგან და ხელი უწერიათ: ერეკლეს, ანტონ ქათალიკოზს, სოლომონ ლეონიძეს, მეფე სოლომონს, იმერეთის დედოფალს მარიამს და აგრეთვე მთავრებს და მღვდელ-მთავრებს მეორეს მხრით სამეფო გვარეულობა თანდათან ეცემა, შური და მტრობა ერთმანეთს შორის უფრო და უფრო მწვავდება. ჰეფე ერეკლეც ჩაება ამ თავის ოჯახურ განხეთქილებაში. ერეკლე მეორე ისეთი პიროვნება იყო, რომელსაც აკლია თავისი საკუთარი ნება, იგი ძლიერ ლმობიერი მამა იყო ოჯახისთვის და ხშირად ოჯახის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ოჯახის გავლენა უფრო დაეტყო მისი მეფობის უკანასკნელ ხანებში, როდესაც მრავალი ბრძოლით და მოუსვენარი ცხოვრებით დაღლილ და მოქანცულ გმირს სიბერემაც უსწრო. თავმოყვარე დარეჯანმა ისარგებლა ამითი და თვისი გავლენა თანდათან გააძლიერა. საქართველოს არეულობის და დანაწილების მიზეზი ის იყო, რომ სამეფო გვარი ძლიერ გაიზარდა. ერეკლეს ბევრი შვილები და შვილი-შვილები ჰყავდა; ყოველი მათგანი სცდილობდა, ძემკვიდრეობა ჩაეგდო ხელში მამის სიკვდილის შემდეგ. ამ ძემკვიდრეობის გარდა სახელმწიფო საქმის ამწეწ-დამწეწი ის იყო, რომ ერეკლემ ყველა თავის შვილს ცალ-ცალკე სამთავროები გაუჩინა, რამაც დაჰბადა ერთმანეთში შური და მტრობა. ბუტკოვის ჩვენებით „საუფლისწულოების გაღების შემდეგ, მთელი საქართველო ხელში ჩაუვარდა ბატონიშვილებს, დარეჯანის შთაგონებით, ბატონიშვილნი სახელმწიფოს სარგებლობაზედ აღარ ფიქრობდნენ, პირიქით, ყოველმა მათგანმა განაძლიერა თვისი ბანაკი, დამოუკიდებლად მოქმედებდა და მით სახელმწიფო ძალას ასუსტებდა. ერეკლეს მხნეობა მოაკლდა, დაიღალა, დარეჯანის გავლენა გაძლიერდა. დარეჯანი იმის ზრუნვაში იყო, რომ გიორგისთვის მემკვიდრეობა ჩამოერთმია და იულონისთვის მიეცა. ამ ყოფაში რომ იყვნენ ბატონიშვილები, ერეკლეს ომი გამოუცხადა აღა მაჰმად ხანმა. ამ ომში ერეკლეს მოეშველა მხოლოდ ვახტანგი 300 კაცით, იმ დროს, როდესაც ყოველი ბატონიშვილისაგან 10,000 კაცს მოელოდნენ“.

მეორეს მხრით კი ერეკლე სცდილობს საქართველოს გაერთიანებას, მან მოსპო ქსნისა და არაგვის საერისთავოები. დიდის ვაი-ვაგლახის შემდეგ შემოიერთა ქართლიც 1777 წ. ამ შემოერთებაში შესამჩნევი როლი ითამაშა ერეკლეს დედამ თამარმა, რომელიც, როგორც ასული ქართლის მეფის ვახტანგ VI, მემკვიდრედ ითვლებოდა.

ერეკლე მეორეს იმერეთის საქმეებშიაც ხშირი დამოკიდებულება უხდებოდა და სწორედ ამ იმერეთის საქმეებში ჩარევამ ნათლად გამოაშკარავა ერეკლეს ჭიროვნება, გამოაშკარავა, რამდენად იგი იმყოფებოდა თავისი ოჯახის სახელდობრ კი ცოლის, დარეჯანის, გავლენის ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობდა პოლიტიკური ერთიანობა, რის დამნაშავეც ჩვენი მოწინავე წოდება იყო, ეროვნულ-სოციალური ერთობა ჩვენში არსებობდა; ხალხმა პოლიტიკურ გაერთიანების საქმეში წინ წაუსწრო თავის მმართველებს, ხალხში გამოჩნდებოდნენ ხოლმე ისეთი პირები, რომლებსაც უფრო გონივრულად ჰქონდათ წარმოდგენილი საქართველოს მომდინარეობის საქმე.

მე XVIII საუკ. იმერეთმა დიდი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიის მიმდინარეობაში, მის პოლიტიკურ გაერთიანების საქმეში, მაგრამ აქაც წინ აღუდგა დაწვრილმანებული სამეფო გვარეულობა, და საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანების სურვილი ჩაიშალა. ეს გაერთიანების სურვილი დაიბადა 1790 წ. რომელსაც ვრცლად მოგვითხრობს პლ. იოსელიანი „მეფე გიორგი XIII ცხოვრებაში“.

„მოვიდნენ იმერეთით: ევთიმე გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, ნიკანორ ხელაია, ბესარიონ ბაგრატიონ-ბაგ. ... ...

ადგენს: მიეცეს ამ წევრთ სრული უფლება.

საზოგადოების საპატიო წევრებად კრებამ აირჩია შემდეგი პირნი: თ-დი ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი (რომელმაც საზოგადოებას შესწირა 858 მ. მოხუც არტისტთა ფონდის დასაარსებლად), კნეინა ე. დ. ერისთავი, მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, კ. მესხი, კ. ყიფიანი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, ნ. გ. ქართველიშვილი, თ-დ გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, გ. გედევანოვი და თ-დ კ. აფხაზი. ამასთანავე კრებამ დაადგინა, საზოგადო წესად შემოიღოს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლების არჩევა საზოგადოების საპატიო წევრებად.

კრებამ მოისმინა საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1912 წლის 1 აპრილამდე. ანგარიშიდან, სხვათა შორის, სჩანს, რომ საანგარიშო წლის ბალანსი უდრიდა 6,771 მ. 11 კ., შემოსავალი ყოფილა 48,830 მ. 10 კ.; ხარჯი—47,268 მ. 56 კ., მოგება დარჩენია 961 მ. 54 კ., ანგარიშის შემდეგ წაიკითხეს სარევიზიო კომისიის აქტი, რომლის უმთავრესი მუხლები შემდეგია: 1) საანგარიშო წელს საზოგადოების გამგეობა გადასულა საორდერო სისტემაზე, მთელი ანგარიში შედგენილია ორმაგ ბუჰგალტერის წესით, საერთოდ ხარჯი ყველა გვარდზე სწორედ გამოყენილია და ყველა მუხლი დასაბუთებულია; სარევიზიო კომისია აღნიშნავს, რომ ყოველი ხარჯი, გამგეობის მიერ გაწეული, დავთრებში თავის დროზე არ იწერება, რაიც ბოლოს აძნელებს ანგარიშების დროზე შედგენას; საჭიროა მთელი ანგარიშები შედგენილნი ხოლმე ორი კვირით მაინც ადრე საზოგადო კრების მოწვევამდე, 2) საქმის წარმოება, შედარებით წინა წელთან, უკედ არის დაყენებული; აღსანიშნავია, რომ საზოგადოების გამგეობის კრებების აქტები არსებობს, მაგრამ ყველა ხელ-მოუწერელია გამგეობის წევრთა მიერ, 3) სარევიზიო კომისია სიამოვნებით აღნიშნავს საზოგადოების ბიბლიოთეკის მოწესრიგებას; ბიბლიოთეკა შეიცავს 472 სახელწოდების წიგნს და 873 ტომს; საჭიროა ბიბლიოთეკის გაფართოვება და შემუშავება ბიბლიოთეკის წიგნებითა და ტომებით სარგებლობის წესებისა, 4) საჭიროა ყურადღება მიექცეს საზოგადოების არქივის მოწესრიგებას, 5) საანგარიშო წელს საზოგადოების გამგეობას 3,500 მან. ინვენტარი შეუძენია და 6) გამგეობის მიერ დაარსებული დრამატიული კურსები სასურველ ნიადაგზე ვერ არის დაყენებული, ბევრი ნაკლი აქვს, რომლის თავიდან აცილებას საზოგადოება ახლავე უნდა შეუდგეს.

კრება თითქმის უკამათოდ ამტკიცებს საზოგადოების ანგარიშის ყველა მუხლს სარევიზიო კომისიის მენიშვნებით, გარდა ერთის მუხლისა, რომელიც დრამატიულ კურსებს შეეხება. ეს საკითხი მეტად ხანგრძლივ კამათს იწვევს. კამათში მონაწილეობას იღებენ: გამგეობის თავმჯომარე ნ. ა. ტარსაიძე, გამგეობის წევრი შ. ა. მიქელაძე, ა. წუწუნავა, კურსების დირექტორი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი, არ. ჯაჯანაშვილი, დ. კასრაძე, დ. მ. დუმბაძე, შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი და სხვანი.

ორატორთა სიტყვებიდან ირკვევა, რომ დრამატიული კურსები სრულიად ასცდენია თავის პირვანდელ დანიშნულებას და უბრალო გასართობ ადგილად გადაქცეულა, თუმცა მასზე 3,000 მანეთამდე დახარჯულა. კურსებზე მსმენელებად შესულან სრულიად მოუმზადებელი პირნი, რომელთაგანაც ორ-სამსაც არ ესმის, რას ლაპარაკობს ლექტორი; ერთის სიტყვით სრული გაუგებრობა გამეფებულა ლექტორთა და მსმენელთა შორის. ამ მოვლენის მთავარ მიზეზად ასახელებენ ამას, რომ კურსებზე მიუღიათ ყველა მსურველი, იმის განურჩევლად, შეეძლო თუ არა ლექციის გაგება. ორატორნი ერთხმად აღნიშნავდნენ კურსების არსებობის კვლავ გაგრძელების საჭიროებას, ხოლო მოითხოვდნენ დიდს ძირითად რეორგანიზაციას: შემოღებულ იქმნას საკანგებო წესები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ კურსებზე მიღების დროს; შედგენილ იქმნას კურსების დაწვრილებითი პროგრამა, სავალდებულო იყოს სასტიკი გამოცდა კურსებზე შესვლის მსურველებისა; იმ პირთ, რომელნიც თავის ძალადებით არ აკმაყოფილებენ კურსების პროგრამისა და წესების მოთხოვნილებას, მიეცეთ ნება თავისუფალ მსმენელებად იყვნენ კურსებზე, ხოლო არ მიეცეს არც ერთი ის უფლება, რომელიც ნამდვილ მსმენელებს ექნებათ.

დასასრულ კრება ერთხმად ადგენს: დაევალოს ახალ გამგეობას, ამ საკითხის თაობაზე ითათბიროს, ყველაფერი გამოარკვიოს, თუ ჰსურს, მცოდნე პირთა მოწვევითაც, რომელთაც სათათბირო ხმა ექნებათ და მოხსენება წარმოუდგინოს საზოგადოების საგანგებო კრებას.

კრებას მოხსენება წარმოუდგინა საგანგებო კომისიამ, რომლის წევრებადაც არიან: პ. გ. მამრაძე, დ. მ. დუმბაძე, ს. გ. გაბუნია, გ. ე. ანანიაშვილი და ი. გ. რამიშვილი. ამ მოხსენებიდან, სჩანს, რომ საზოგადოებას 1910 წლის 1 აპრილს სხვა და სხვა პირისა და დაწესებულებისა მართებია სულ 10,691 მან. 52 კ., გადაუხდია 3,464 მან. 38 კ., 1913 წლის 1 აპრილისთვის დარჩენია 7,242 მან. 14 კაპ.

საზოგადოებას, სხვათა შორის, ჰმართებია: ექიმ ვ. მუსხელიშვილისა—231 მან. 50 კ., ხოლო თ-დ გ. დ. ერისთავისა—291 მან. 51 კ. ამ პირებმა კრებაზე განაცხადეს, რომ დარჩენილ ვალს ადარ მოითხოვენ და საზოგადოებას სწირავენ. კრება, მადლობის ნიშნად, მათ მხურვალე ტაშის ცემით მიეგება.

კომისიის მოხსენებაში, სხვათა შორის, ასეთი მუხლია: „ზოგიერთ პირის მოთხოვნილება, ვითომც დრამატიულ საზოგადოებისგან ფული

ასე დაბოლოვდა ეს ფრიად სიამატიური საქმე. ერეკლემ ვერ აწყენინა თავის შვილ-შვილს და განსაკუთრებით კი დედოფალს დარეჯანს, რომელსაც მტკიცედ ჩაეჭირა ხელში სამეფო საქმეები და თავის ნებაზე განაგებდა.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ინტერესები ორად გაიყო, ერთის მხრით, თვით ხალხი, რომელიც ერთობის მოწადინებული და მეორე მხრით კი სამეფო გვარი, ბატონიშვილები, რომლებსაც ჰსურთ, რომ თავ-თავის საკუთარი სამთავროები ჰქონდეთ. თვით ერეკლეც, ნიჭიერი სარდალი, რომელიც შინის ხარსა სცემდა ტრტებს, თავის ოჯახის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ, თუ ჩაუკვირდით ერეკლეს სხვაგვარ მოღვაწეობას, სადაც არ იყო დაინტერესებული სამეფო გვარი, იქ ნათლად სჩანს ერეკლეს შარავანდედით მოსილი პიროვნება და მისი დაუშრომელი ღვაწლი საქართველოს წინსვლა-წარმატების გზაზე დასაყენებლად. ასეთი არის ერეკლეს ღვაწლი განათლების გავრცელების, მართლ-მსაჯულების დამკვიდრების ტ ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში.

მე-XVIII საუკ. საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მწერლობის აღორძინების ხანად ითვლება. მე-XIII საუკ. დაწყებული მე-XVII საუკ. მეორე ნახევრამდის საქართველოს არ მოუსვენია გარეშე მტეთა შემოსევით. ქართველი ერი როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად მოდუნდა, თითქოს შესწყდა ქართული ეროვნულ კულტურის მაჯის ცემა. მე XVII საუკ. პირველ ნახევარში

შახ-აბასის შემოსევამ დაავგვირგვინა ქართველი ერის ტანჯული მდგომარეობა. დაეცა ქართველი ერი პოლიტიკურად, დაეცა იგი კულტურულადაც. ეს ხანგრძლივი, გულშემზარავი ტრაგედია აერთებს ძველს მე X—XII ს. ოქროს ხანას მე XVII—XVIII ს. აღორძინების ხანასთან და აი ამ აღორძინების დედაძარღვად უნდა ჩაითვალოს ერეკლე თავისი განუწყვეტელი ღვაწლით ქართველი ერის პოლიტიკურ დაცვის და მისი კულტურულ აღორძინებისათვის. საზოგადოდ საჭირო იყო ცოტა ხნით ქართველი ერის მოსვენება გარეშე მტერთაგან, რომ საქართველო მაგრდებოდა პოლიტიკურად, იმლებოდა ნაციონალური კულტურა, ვითარდებოდა მოქალაქობრივობა, იზრდებოდა მწერლობა და სხვა.

ერეკლეს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი დიადი მნიშვნელობა სწავლა-განათლებისა, ჰქონდა ისიც წარმოდგენილი, თუ რა სარგებლობას მოუტანდა საქართველოს ევროპასთან დაახლოვება. ერეკლე ყოველის ღონისძიებით სცდილობდა გარს შემოეკრიბა მცოდნე პირები, რომლებთაც შეეძლოთ სწავლა-განათლების გავრცელება. ამ დროს ძველი სპარსული ზედ-გავლენა სწავლაში ადგილს უთმობს ევროპიულს. ძლიერ დიდი ღვაწლი დასდვეს საქართველოს სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში ანტონ ქათალიკოსმა, გაიოზმა, დოსითეოზ ნეკრესელმა და მრავალმა სხვამ. ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ანტონ ქათალიკოსს, რომლის

ერგებოდეს, როგორც დარჩენილი ვალი, კომისიამ არ სცნო საბუთიანად და უარჰყო“. ამ მუხლის გამო კომისიის წევრმა ი. რ. რამიშვილმა თავის მხრით ცალკე მოსაზრება წარმოადგინა. სახელმწიფო შეეხო დრამატიულ საზოგადოების გამგეობის ძველ ხაზინადრის ა. ი. ნანობაშვილის ვალს — 809 მანეთი 98 კაპ., ეს ფული ბ-ნ ი. რამიშვილის აზრით, ბ-ნ ნანობაშვილს ხაზინადრად ყოფნის დროს თავის ჯიბიდან დაუხარჯავია საზოგადოებისთვის, და ახლა სამართლიანობა მოითხოვს, საზოგადოებამ პატრონს ვალი დაუბრუნოს. ამ საკითხის გამო—ერგება თუ არა ფული ბ-ნს ნანობაშვილს—კამათი დიდხანს გაგრძელდა. ორატორნი საერთოდ აღნიშნავდნენ, რომ ექვ გარეშეა, ბ-ნმა ნანობაშვილმა ფული თავის ჯიბიდან დააყარა. საგანგებო კომისიის წევრს პ. მამრაძესაც არ შეაქვს ამაში ეჭვი, მაგრამ დასძენს, რომ საზოგადოების მამინდელ ანგარიშების საერთო მდგომარეობა ისეთია, რომ ყოვლად შეუძლებელია ვსთქვათ, რომ გვმართებს ფული.

კრება ადგენს, ეს საკითხი საბოლოო გამოსარკვევად ახალ გამგეობას გადასცეს.

კრების გაგრძელება გადაიდო მომავალ კვირისთვის.

რუსეთისა დაგისა, თუ რუსეთისაკენისა დაგისა?

იმ „ვეფხის ტყაოსანში“, ოთხელიც ებლა საზოგადოებაში ტრიალიან, ბოლოს, პოემის დასასრულ, ერთ-ერთი მუხლის ტაეპი იკითხება ასე:

ვსწერ ვიზმე შესხი მელექაჲ,
იე რუსთაგაჲსა დამისა.

აკადემიკოსი ნ. ბაბრიც შეუდგა „ვეფხის ტყაოსნის“ შესწავლას და გამოსცა ნიგნი: „Витязь въ барсовой коже“, სადაც ხსენებული ტაეპი უცვლელად დაუტოვებია, როგორც ექვ მიუტანელი. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ პატივცემულმა ძეცხიერმა ზოგიერთი ძველი, თოგორც ენა, ისე უკანა სიტყვაობისა, ტექსტში ალარ ამოაქცია.

ძველის ძველ XVII ს. ხელთნაწერში კი ის ადგილი იკითხეა ასე:

ვსწერ ვიზმე ძესხი ძელექაე
იე რუსთვალლისა დამისა.

მაგრამ ადამიანი ყალბის ძალებელს შეუცვლია დაძისა დაბისად, ოადგანაც სიტყვა **დამი** ვეო გაუგია. შემდეგ, რა კი თავისი ქაუით აღუდგენია ტექსტი, გვარი **რუსთველი** სოფლის სახელად **რუსთავად** გადაუქცეთებია. აეე ოთ ოუსთავი დაბა გაუხენია ვინძე ძესხი ძელექაის საძოლოდ. ძველის ძველი ოედაქცია კი გვეუბნება, ის ვინძე ძესხი ძოლექსე იყო **რუსთველის დამისაო.** პოუმის ენა სიტყვაოა ძიაც ავტორი თავის თავს უწოდებს რუსთველსა, ამას შეძდეგ რა ხეა გვაქვს, ძოთას უწოდოთ **რუსთაველი?** ყალბის ძალებელმა დაძის დაბად ეაკითხვით ავსძოვანებაც შესძინა ლექსსა, ოადგაეაც

ძოეაფეები ძრავლად ძოედვხეს საქართველოს სწავლა-განათლების გასავოცელებლად, ოასაც აძტკიცებს „ძციოე უეყეაა ქაოთველთა ძოდვანეთა“*). ეოეკლეს ძეფობის დროს, და უმთავოესად ძისი ძეოხებით, დაარსდა ტფილისისა და თელავის სემინარიები. თელავის სემინარია დაარსდა 28 მაის 1782 მოწ. პირველ მის რექტორად დანიშნულ იქმნა გაიოზ ნაცვალიშვილი (ბარათაშვილი), ოოძელმაც გაათავა მოსკოვის აკადემია, გაცხობილ იყო ოუსეთის სასწავლელის წეს-წყობილებას და სცდილობდა გადმოენეოგა ახალ გახსნილ სასწავლებელ შიაც. ამ სასწავლებლებს სახელმწიფო ინახავდა. ერეკლე პირადად ინახულებდა ხოლმე სასწავლებლებს ტ თავისი ასეთი ყურადღებით ამხნევებდა მოსწავლეთ და მასწავლებელთ. საყურადღებოა სიტყვა წარმოთქმული გაიოზის მიერ თელავის სემინარიის გახსნის დროს და აგრედვე ეოეკლეს ძიერ ნაკვისას 1783 წ. როგორც პირველ სიტყვაში აგრედვე მეორეშიაც, გაიოზი შეაქებს ერეკლეს, როგორც მზრუნველს სწავლა-განათლების გავრცელებაში და დამაარსებელს თელავის სემინარიისას, მეტრ-მეუყველურად ჰაქადაგებს სწავლა-განათლების დიდ-მნიშვნელობას და ამბობს მეორე სიტყვაში „ამაყობენ ბერძენნი ალექსანდრე მაკედონელითა, ოომაელები—იულიოს ცეზარითა, ოუსები—პეტრე დიდითა, ხოლო ჩვენ, ქართველებმა, უნდა ვიამაყოთ ერეკლე მეორეთი, ოომელმაც შეაერთა თავის პიროვნებაში უკეთილშობილესი თვისებები ზემოხსენებულ მეფეთა“-ო.

მიხ. აბრამაშვილი.

(დასასრული იქნება)

*) ძველი საქართველო წ. 1.

იმ მუხლს, რომელსაც ეკუთვნის ხსენებული ტაეპი, რითმადა აქვს სიტყვები **დამისა, ეამისა. წამისა.**

რა და უნდა იყვეს სიტყვა **დამი?** რადგანაც ქართულ ლექსიკონში არ მოიპოეებოდა, მივმართე ცხოვრებას და ვკითხე თათრებს და სომხებს, რომელნიც თათრულსაც ლაპარაკობენ. როგორც მათ ამიხსნეს, **დამი** როცა მგრად გამოითქმის (დამი), ჰნიშნავს **სახლს, ოთახსა; გომსა.** ხოლო ოოცა რბილად გამოითქმის (დამი), ნიშნავს **ნამს,** რომელსაც მოჰხდიან ფლავსა. უეკველია ვეფხის ტყაოსნის **დამი** ხმარებულია პირველის აზრით და უხდა ნიშნავდეს გვარიშვილობას, ვითომც ვწერ მე ოუსთველი გვარიშვილობითაო.

ოოდი, ან რა გზით შემოსულა **დამი** ქართულს ენაში, ძნელი სათქმელია. ძაგრამ თათრულ თურქული სიტყვების შემოსვლა ქართულს ენაში უფრო ძველი ამბავი უნდა იყვეს, ვიდრე ამით ძეღალთა შემოსევა.

პეტრე მირიანაშვილი.

ბალის გაუქმება

ევროპასა და რუსეთის დიდ ქალაქებში, ყველგან, სადაც შედარებით პატარა ადგილზე შეჯგუფებულია მრავალი მცხოვრები, დიდს ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ქალაქში რაც შეიძლება მეტი ბაღი, სკვერი და ძოედნები იყოს. ეს გასაკვირველი არ არის, რადგან მჭიდროოსახლეობას თან სდევს ჰაერის მოწამლვა, მტვერი, უსუფთაობა, ყოველგვარი ანტისანიტარული და ანტიჰიგიენური პირობა. ამ ნაკლს მჭიდრო ძოსახლეობისას კულტურულ ქვეყნებში, სხვათა შორის, იმითაც ებრძვიან, რომ ქალაქ გარეთაც და შუა-გულშიაც აშენებენ ბაღებს, პარკებს, სკვერებს, სადაც ხალხს შეძლება აქვს წმინდა ჰაერი ისუნთქოს, სიცხეში ჩრდილში თავი შეაფაროს, უნდა ნახოთ, რა სიყვარულით, რა ძრუნველობით უვლიან და იცავენ ამ ბაღებს ყველანი—მუნიციპალიტეტიც, თვით ძცხოვრებნიც, დიდიც და პატარაც!..

ჩვენს ქალაქებში? ნახეთ თუნდ ტფილისი და თქვენ დარწმუნდებით, რომ აქ, ამ მხრით, პირდაპირ ბუნებას ებრძვიან და სრულიად წინააღმდეგს მდგომარეობას ამყარებენ. შუაგულ ქალაქში დიდი ბაღი (ალექსანდრესი) შეაგიწროეს სხვა და სხვა შენობით, დაუკარგეს წინანდელი მნიშვნელობა. ახლა განაპირა ბაღებს უპირებენ სრულს განადგურებას...

ყველამ იცის, რა დიდი მხიშვნელობა ჰქონდა ქალაქისთვის, ნამეტურ ხელმოკლე მცხოვრებთათვის მუშტაიდს. ეს ერთად-ერთი ბაღია, სადაც ამათ შეუძლიანთ ზაფხულის ბუღისა და აშმორებულ ჰაერისაგან თავი დაიფაროონ. ასეთ დიდსა და კარგს ბაღს ყველგან თვალის ჩინივით გაუფრთხილდებოდნენ, ჩვენში კი... პირდაპირ ბარბაროსულად მოექცნენ ამ სიმდიდრეს! გასჩეხეს, აავსეს სასახლეებით და ქოხებით, გაიყვანეს შიგ დიდი ქუჩა, სრულებით არ უვლიან ხესა და მცენარეს. ბაღი გაეერანდა და თან და თან უქმდება...

ეხლა კი განუზრახავთ უკანასკნელისა და ერთის დაკვრით სრულებით მოსპონ ეს ერთად-ერთი ბაღი. ქალაქის მმართველობას უკვე გეგმა შეუდგენია მუშტაიდზე ტრამვაის ლიანდაგის გაყვანისა. ჰსურთ თურმე მიხეილის პროსპექტის სივრცის ქუჩა გაიყვანონ და ორ ლიანდაგიან ტრამვაით შეუერთონ ეს პროსპექტი დიდუბეს. ამისთვის ბაღს უნდა ჩამოეჭრას კიდევ 1600 ოთხკუთხი საჟენის ქუჩა... რა დაემართება მაშინ მუშტაიდს, ადვილი წარმოსადგენია: ისედაც ალარაფერია და ასეთ გზის გაყვანისა და ტრამვაის მიმოსვლის გაჩაღების შემდეგ, მუშტაიდი ალარ იქნება...

მერე, რა აუცილებელი საჭიროება მოითხოვს ასეთ ბარბაროსობას? დიდუბე ისედაც ხომ არის შეერთებული ქალაქთან ტრამვაით? არავითარი საჭიროება არ არსებობს ახალ ქუჩისა და ლიანდაგისათვის და ბაღის ტყეილ-უბრალოდ გაფუქება შეუწყნარებელი დანაშაულობაა. ამბობენ, დიდუბის მცხოვრებთა იმ მცირე ნაწილს, რომელსაც მუშტაიდის მახლობლად ადგილები აქვს, დიდი მეცადინეობა დაუხარჯავს ამ პროექტის განსახორციელებლად, რათა თავისი მამულების ფასი ასწიონო. თუ ეს მართალია, მით უფრო დიდი დანაშაულობა იქნება ვისგანაც ჯერ არს, რომლისამე ჯგუფის კერძო ინტერესებს ანაცვალოს საზოგადო სარგებლო დაწესებულება...

ჩვენ ვფიქრობთ, ქალაქის გამგენი ვალდებულნი არიან დაფიქრებით მოიქცნენ, ამ პირველის შეხედვით მცირესა, მაგრამ ქალაქისთვის მნიშვნელოვან, საქმეში.

დიდუბელი.

ჩერნოგორია-ავსტრიის უთანხმოება

ალბანეთში.

პეტერბურგიდან იტყობინებიან: ადვილი შესაძლებელია, რომ ალბანელთა უმეტესობა კეთილად მოეპყრას ესად-ფაშის განზრახვას, რადგან იგი დიდად ცნობილი პირია ალბანეთში და თანაც შეძლებული მემამულე. მისი სახელის ზრდას ხელი შეუწყო სკუტარის ციხის მამაცურმა დაცვამ. ბოლოს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ ესად-ფაშა მხოლოდ ერთადერთი პრეტენდენტია, რომელიც ალბანეთის ერსა და თავის ერთგულს ჯარს ეყრდნობა. ესად-ფაშას თან ახლავს 20.000 ჯარისკაცი, რომელთაც მეფედ აღიარეს იგი და შეჰფიცეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლონ მისი გულისთვის ოსმალეთის ჯარს, ევროპასა და ტახტის სხვა მაძიებლებს.

ავსტრიის პრესა.

გაზ. „ცეიტი“ მწარედ დასცინის ბერტჰოლდს, რომელმაც უკვე აღარ იცის, „ვის ებრძოლოს—ნიკოლოზ მეფეს, თუ ესად-ფაშას. მომაკალი ალბანეთი, რომელიც უკვე ერთ მილიარდ კრონამდე დაუჯდა ავსტრიას, თვისი შემქნელის წინააღმდეგ მიდის“.

„ნეიე ფრ. პრესეს“ საჭიროდ მიაჩნია, რომ ავსტრიამ და იტალიამ შეთანხმებულად იმოქმედონ ჩერნოგორელების სკუტარიდან გამოსაყვანად.

გერმანიაში.

გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რომ „სკუტარის დათმობა ღალატია, რუსეთის ინტრიგებისა და ახალგაზდა ოსმალთაგან შემზადებული“.

„ბერლ. ტაგებლატი“ სწერს: „ესად-ფაშა ყაჩაღი, მკვლელი და მოღალატეა. ავსტრია ვერასოდეს ვერ შეურიგდება ალბანეთის მეფედ მის გამოცხადებას, ავსტრია განდევნის მას ალბანეთიდან, ხოლო ჩერნოგორიის მეფეს კი სკუტარიდან“.

„მორგენპოსტი“ ამბობს: ევროპის დიპლომატია მსხვერპლი შეიქმნა ნიკოლოზ მეფისა და ესად-ფაშის შეთქმულობისა, იმ ორი ყაჩაღისა, რომელთა წინააღმდეგ საჭიროა სასტიკ ღონისძიებათა მიღება“.

რუსეთის აზრი.

მიუხედავად მრავალ საიმედო ნიშნისა, რომელიც ნიადაგს უმზადებს ალბანეთის მეფედ ესად-ფაშის გამოცხადებას, რუსეთის დიპლომატია, როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან, ერიდება აჩქარებული ნაბიჯის გადადგმას. პეტერბურგში ანგარიშს უწევენ იმ გარემოებასაც, რომ, ესად-ფაშას გარდა, ალბანეთში ამ ჟამად სამი მთავრობა არსებობს: ვალონისა, ტირანისა და ელბასანისა, რომელთაგან არც ერთი არა სცნობს მეორის უფლებას. თუ გამოირკვა, რომ ესად-ფაშის მომხრეა ალბანელთა უმრავლესობა და ჰსურს დაემორჩილოს მას, მხოლოდ მაშინ გამოცხადდება რუსეთის დიპლომატიის დამოკიდებულება ჩერნოგორიის მეფისა და ესად-ფაშის შორის დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებასთან.

რუსეთი და სკუტარის საკითხი.

პეტერბურგიდან ცნობაა: რუსეთის დიპლომატიას სკუტარის საკითხის გამწვავებულად აღძვრა უმართებულოდ მიაჩნია, რის შესახებაც უკვე ეცნობა ვენის კაბინეტს. რუსეთის აზრით, თუ სკუტარის საკითხი ისეთი დაჩქარებით გადასწყდა, რომ ყურადღება არ მიექცა ალბანეთში უკანასკნელ დროს მომხდარ ამბებს, ასეთი გარემოება უეკველად გამოიწვევს, არა თუ სკუტარის საკითხის, არამედ ალბანეთის მთელი საზღვრების გადასინჯვას. ავსტრიის ცდა, რომ როგორმე მიაღწიოს ჩერნოგორელების განდევნას სკუტარიდან, იქნება ეს საერთო სამხედრო ძალდატანებისა, თუ ავსტრიის კერძო მოქმედების მეოხებით, არა თუ ვერ იპოვის პეტერბურგში თანაგრძნობას, არამედ საერთაშორისო მდგომარეობის საფრთხედ ითვლება. სახელმწიფოების მთელი ძალა იქითკენაა მიქცეული, რომ დაარწმუნონ ავსტრია დამოუკიდებლად მოქმედების უაზრობასა და უნაყოფობაში.

საომარი სამზადისი ავსტრიაში.

ჩერნოგორიის საზღვრებთან თავმოყრილია 60,000 ჯარისკაცი. ავსტრიელებს ეეკვი არ აქვთ, რომ ჩერნოგორელები სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ მათ. სამხედრო წრეებში ამბობენ, რომ ესად-ფაშა თავისი ჯარით უეკველად დაეხმარება ჩერნოგორიის მეფესაო. ამიტომ ავსტრია გულმოდგინედ ემზადება სალაშქროდ. განზრახულია ასი ათასი ჯარის კაცის გაგზავნა ჩერნოგორიის საზღვრისკენ. ტიროლის 10.000 მსროლელი საჩქაროდ გაიგზავნა ნოვობაზარის სანჯაკისაკენ.

ჩერნოგორიაში.

„ეეიხსპოსტის“ ცნობით, ჩერნოგორიის ჯარი ცეტინიე—ნეგუშის რაიონში იკრიბება. სკუტარის გარნიზონიდან 5.000 კაცი ავსტრიის საზღვრებისკენ გაიგზავნა. ნეგუშისა და ცეტინიეს ბატალიონები ქ. რეკის მიდამოებში დაბანაკდნენ. ავსტრიის ნავთსადგურ კატაროს მახლობელ მთებზე ჩერნოგორელებმა 12 ძმიმე საცხოვნო ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველები დასდგეს. სწრაფსროლელი არტილერია კლდეებშია მოხერხებულად მიმალული.

კატაროს მიტოვება.

რადგან ავსტრიის ნავთსადგური კატარო ისეთ ადგილს მდებარეობს, რომელსაც თავს დაჰყურებს ჩერნოგორიის განთქმული ციხე ლოვჩენის მთაზე, ავსტრიის მთავრობამ ქალაქის მცხოვრებთ უბრძანა: 36 საათის განმავლობაში მიატოვეთ ქალაქი. მცხოვრებლები ქ. სპალატოსკენ იხიზნებიან.

ჩერნოგორიის მოკავშირენი.

ვეინიდან იტყობინებიან, რომ სერბიისა და ჩერნოგორიის მეფეების შორის აზრთა გახუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლაა. ჩერნოგორელებს იმედი აქვთ სერბიელების დახმარებისა. ამბობენ აგრედვე, რომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, სერბია და ბულგარეთი ხელშეკრულობის ძალით ვალდებული იყვნენ, დახმარება გაეწიათ ჩერნოგორიისთვის შესაძლო თავდასხმის დროსო.

აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

„საიროვნო პროგლემის გარშეო“
(1907—9 წ. ტ. 1)

ეროვნული პრობლემის სიძნელე თეორიული სიძნელე არ არის. თეორიაში ყოველივე მწყობრად სწყდება და ჭლაგდება. სიძნელე იწყება იმ დროიდან, როდესაც ეროვნული პრობლემა გინდათ კადასწყვიტოთ კონკრეტულ პირობების მიხედვით, როდესაც ანგარიში უნდა გაუწიოთ მრავალ მოვლენათ, რომელთა არსებობა თეორიას მხედველობაში არ მიუღია.

✦

ჩვენში სწორედ კონკრეტულ პირობების მიხედვით უნდა გადასწყდეს ეროვნული პრობლემა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უქმ ადამიანთა უქმ ყალბობის ელფერი ექმნება.

✦

როდესაც თქვენ ხედავთ წინად პოლიტიკურად დამოუკიდებელს რამდენსამე ერს ერთმანეთში ჟამთა ვითარების გამო არეულებს, როდესაც ამ არეულობის გამო ფერხდება კულტურული განვითარება თვითეულისა, და როდესაც ეს ერნი ამასთან დამონებულნიც არიან სხვა ძლიერ ერის მიერ, რომელსაც ჰსურს გასთქვიფოს სხვა და სხვა ელემენტები მის მიერ დაწესებულ სასტიკ პოლიტიკურ ფორმებში; როდესაც თქვენ ჰხედავთ, რომ ყველა ამის გამო გამოაშკარავდა რასიული, ლინგვისტიური, სარწმუნოებრივი და ეკონომიური ქიშპობა და მტრობა, არა მარტო ორ კლასს შორის, არა მებატონეთა და ყმათა შორის, არამედ სხვა და სხვა ერთა შორისაც, სხვა და სხვა ერთა დაჩაგრულ კლასთა შორისაც—მაშინ იწყება სიძნელე ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტისა.

✦

ჟამთა მსვლელობაში, საქართველოს საუკეთესო პროვინციებში, სადაც ძველად ქართული კულტურა ჰყვაოდა დღეს ოდნავღა მოსჩანს ქართულ ეროვნების ნაშთი, რადგან იქ ეროვნული შემეცნებაც მიმქრალა, ენაც ისპობა. ჩვენი ცხოვრების უკეთესი მხარე თუ გნებავთ, სწორედ აქ არის.

✦

კულტურული ერი მოსაზელი ცოცხი არ არის, საიდანაც ხან ნაზუქი გამოცხვება, ხან ხაჭაპური.

✦

მამულიშვილობა ხანგრძლივ ისტორიის გავლენით შემუშავებული ფსიხიური ფაქტია. მისი შინაარსი სოლიდარობაა ადამიანთა განსაზღვრულ ერთეულებთა შორის.

✦

თუ ეროვნება შემაფერხებელი მოვლენაა, მეორე ეროვნების შემუშავებას კი არ უნდა შეუწყოთ ხელი, არამედ ყოველგვარ ეროვნების დანგრევას. თუ სწირავთ ქართულ ეროვნებას, უნდა გასწიროთ ყოველი სხვა ეროვნებაც, ეს უფრო გონივრული მოქმედება იქნება.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

20—21 აპრილი.

ბალკანეთის ომი

სალონიკი. მოვიდა სკუტარიდან სერბიის დიდიძალი ჯარი. ჯარის დანახვამ ქალაქში თანაგრძნობის მანიფესტაციები გამოიწვია.

სტამბოლი. პორტას წრეებში დიდად უკმაყოფილონი არიან ესად-ფაშის მოქმედებით. ესად-ფაშა მუდამ მტერი იყო პროგრესის და ერთობის კომიტეტისა. უმრავლესობის აზრით, უმჯობესია სრულიად დაჰკარგოს ოსმალეთმა ალბანეთი, ვიდრე გუბერნატორად იყოლიოს ესად-ფაშა. ესადს ბრძანება გაეზავნა იარაღი აჰყაროს ჯარს და გემით ბაირუტში გაგზავნოს.

ათინა. გამოქვეყნდა მეფის ბრძანება, რის ძალითაც ბერძნების მიერ დაპყრობილ ეგეის კუნძულებზე საალყო წესები გამოცხადებული.

უსკიუბი. ესად-ფაშა ჯარით ტირახში მოვიდა.

სტამბოლი. კომიტეტის წრეებში ირწმუნებიან, რომ პროგრესის და ერთობის კომიტეტი, ზავის ხელის მოწერის შემდეგ გამოსცემს მანიფესტს კომიტეტის დათხოვნისა და მის განყოფილებების დაკეტვის შესახებ. მანიფესტში ნათქვამი იქნება, რომ ახლო არჩევნებში კომიტეტი ძალადობას არ მოახდენს, რადგანაც დარწმუნდა პარტიულ ბრძოლის მავნებლობაში.

სომეხთა საკითხი მთავრობის ყურადღებას იქცევს. მას განზრახავა აქვს ეკლანდელ პატრიარქის ნაცვლად [illegible] პატრიარქი ორძანიანი დანიშნოს. უკანასკნელი ცნობილია, როგორც ძომქმედი და გამბედავი პიროვნება.

ცეტინიე. აქ იტყობინებიან: ესად-ფაშასა და ჯავედ-ფაშას შორის შეტაკება მოხდარა. გამარჯვებული ესად-ფაშა დარჩა. მისი ჯარის ნაწილი დურაცოში შევიდა. სერბიის ჯართან შეტაკება არ მოხდარა.

ომი და სახელმწიფოები

ლონდონი. ელჩებს ერთმანეთში თათბირი ჰქონდათ, მათ ინახულეს გრეი. ჩერნოგორიის ელჩის პოპოვიჩის პოზიცია შეიცვალა: წინად იგი უარჰყოფდა სკუტარის განთავისუფლების შესაძლებლობას, ეხლა კი ამბობს, ჩერნოგორია განსაზღვრულ პირობებით დასთანხმდება საკითხის განხილვასო. დიპლომატებს იმედი აქვთ, რომ ავსტრია, თანახმად ელჩთა კონფერენციის წინადადებისა, დამოუკიდებელ ნაბიჯს არ გადასდგამს ორშაბათამდის, ვიდრე ელჩთა კონფერენციის სხდომა არ მოხდებაო.

ვენა. „ფრემდენბლატი“-ს ცნობით, ელჩთა კონფერენციის ხუთშაბათის სხდომაზე წინადადება პოპოვიჩის მეოხებით იყო შეტანილი. ამ წინადადებას შეუძლიან მდგომარეობის შეცვლაო, ამბობს გაზეთი. ჩერნოგორიის საპასუხო ნოტა მით უფრო ნაკლებ დამაკმაყოფილებელია, რომ ხელახლად არის აღძრული ალბანეთის საზღვართა საკითხი, როცა იგი უკვე გადაწყვეტილიაო.

ვენა. ხმებია, იტალიამ და ავსტრია-ჰუნგრეთმა გადასწყვიტეს დაიპყრონ ალბანეთი, არა სკუტარის საკითხის გამო, რაც იმედია მშვიდობიანობის გზით გადასწყდება, არამედ ესად-ფაშას მოქმედების გამოო.

სარაევო. 20 აპრილს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში გამოაცხადეს განსაკუთრებული წესები.

რომი. სტეფანის საააგენტო უარჰყოფს გაზეთის ცნობებს, ვითომც იტალიასა და ავსტრია-ჰუნგრეთის შორის შეთანხმება მომხდარიყოს ალბანეთის გაყოფვის შესახებ. ტყუილია აგრედვე ცნობა, ვითომც ზემოხსენებულ სახელმწიფოებს შეეცვალოთ ერთი ერთმანეთში დადებული ხელშეკრულება; იგი დაცულია ორივეს მხრივ კეთილსინდისიერად და მიმართულია ალბანეთის ავტონომიის უზრუნველსაყოფად, თანახმად ლონდონის კონფერენციის დადგენილებისა.

ვენა. ჩეხელ დეპუტატს კლოვაჩს პოლიციამ აუკრძალა საჯაროდ წაეკითხა მოხსენება ბალკანეთში მოგზაურობის თაობაზე.

„ნეიე-ფრეიე-პრესე“ აცხადებს: ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში განსაკუთრებულ წესების შემოღება მოლოდინს გვიბადებს, რომ ამგვარი წესები შემოღებულ იქნას დალმაციაშიაც.

ბუდაპეშტი. გაზეთ „აზესტ“-ის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ალბანეთის ყველა ოლქში ნამდვილი ანარქია გამეფებულიო. ნაზიმ-ბეი მოჰკლა ისაბოლეტნიცის შვილმა.

ვენა. „ნეიე-ფრ.-პრესეს“ სიტყვით, იტალიის და ავსტრიის მოლაპარაკების მთავარი საკითხია: ალბანეთის ავტონომიის უზრუნველ-საყოფად საჭიროა თუ არა საომარი მოქმედება იტალიისა და ავსტრიისა ჩერნოგორიის წინააღმდეგ. იტალიის მთავრობას, როგორც ეტყობა, ჰსურს ალბანეთის ავტონომიის უზრუნველყოფა განახორციელოს ავსტრიის იარაღის ჩაურევლად. ავსტრია ამ აზრს არ იზიარებს. ამ მიზეზის გამო მოლაპარაკება ჭიანურდება.

სტამბოლი. გარეშე საქმეთა მინისტრმა საიდ-სალიმ-ფაშამ ავსტრიის ელჩს გადასცა პორტას პასუხი. ოსმალეთი თანახმაა შესწყვიტოს საომარი მოქმედება, დაჰნიშნოს სამშვიდობო მოლაპარაკებისთვის დელეგატები.

ბუდაპეშტი. „აზესტი“ იუწყება: ავსტრია-იტალიის სამხედრო ექსპედიციის გაგზავნა ალბანეთში, სკუტარის საკითხის დამოუკიდებლად, ამ კვირის პირველ დღეებში მოხდებაო.

პარიზი. ჰავასს რომიდან ატყობინებენ: ბარის მიდამოებში შეგროვილია ჯარი რიცხვით 30,000 კაცამდე გენერალ კოდორნინის უფროსობით. ჯარი საომრად არის გამზადებული იმ შემთხვევაში, თუ ვალონას დაიჭყრობენ.

„ტან“-ს საკუთარ კორესპონდენტების დეპეშა მოჰყავს. დეპეშები ადასტურებენ ცნობას, რომ ავსტრიასა და იტალიის შორის შეთანხმება მოხდა ალბანეთის განაწილებაზე. ავსტრიის და იტალიის ოლქთა საზღვრად მდინარე სკუმბია აღიარებულია. ავსტრია სკუტარის და დურაცოს ვილაიეტებს მიიღებს, იტალია—ვალონს, ელბასანს და არგიროკასტროს. ავსტრია ჯარს გადმოსხავს დურაცოში, იტალია—ვალონაში.

ვენა. ვენის პრესის ყურადღება მიქცეულია ავსტრიასა და იტალიის მოლაპარაკებაზე, ალბანეთში შეთანხმებულ მოქმედების შესახებ. ჩერნოგორიის მიერ სკუტარის აღება და ესად-ფაშის მიერ კიდევ ვალონისა—აუტანელ გარემოებას ჰქმნიან.

„დეიჩი-ფოლსბლატი“ ამბობს: ალბანეთის მეფედ ესად-ფაშას გამოცხადება თუ ხელმეორედ გაამწვავებს ბალკანეთის საკითხს, საფრანგეთსა და რუსეთს უნდა დაუმადლოთო.

ბერლინი. „ნორდ-დეიტშე-ალგემაიხე-ცეიტუნგი“ სწერს: ელჩთა კონფერენციის უკანასკნელმა სხდომამ დაადგინა, წინადადება მისცეს კაბინეთს უკანასკნელად მისცეს ვადა. ჩერნოგორიას, ნებაყოფლობით დასთმოს სკუტარი. კონფერენციაზე ერთი საგულისხმო ამბავიც გამოირკვა, რაც აქამდე ცნობილი არ იყო: მეფისწულმა სკუტარი თავის რეზიდენციად გამოაცხადა, ჩერნოგორიის ჯარმა ალბანეთის სანპიროების პუნქტები დაიპყრა. ამით ლონდონის კონფერენციის იმედებს ნიადაგი გამოეცალა. ახლო [illegible]მავალში იტალიისა და ავსტრიის საომარი მოქმედება დაიწყება.

ვენა. ბოსნიაში განსაკუთრებულ წესების შემოღების გამო „ზიუდსლავიშე-კორესპონდენციი“ იუწყება: სერბიის და ჩერნოგორიის აგიტატორები, ვაკრულ ტაისამოსში გადაცმულნი საზღვარს გადავიდნენ და მართლმადიდებელ მცოვრებთა შორის პროკლამაციებს ავრცელებენო. ზოგიერთი მათგანი მეიპყრეს.

ვენა. პრესა მდგომარეობის უცვლელობას აღნიშნავს. „რეიხ.-პოსტი“ უარჰყოფს ცნობას, ვითომც ავსტრია თვითვე შეჰზღუდავს საომარ მოქმედებასო. ზომების მიღება უკვე დაიწყო, აქტიური გამოსვლა ამ დღეებში მოხდებაო.

„ნეიე-ვინერ-ჟურნალ“-ი სწერს: ავსტრია სახიფათო პოლიტიკის უფსკრულზე სდგასო. თუ იტალია ვალონს დაიპყრობს, მას ადრიტიკის გასაღები ექნება ხელში. „ორბაიტერ-ცეიტუნგი“ იწერს: ავსტრიამ სკუტარის გულისთვის სრულიად უარი სთქვა ადრიტისკენ მიმართულ პოლიტიკაზე.

სტამბოლი. მთავრობამ სამშვიდობო კონფერენციაში რწმუნებულად დანიშნა: პირველ დელეგატად ბერლინის ელჩად ნამყოფი ოსმან-ნაზიმ-ფაშა, მეორე—საზოგადო საქმეთა მინისტრი ბატკარია-ეფენდი, მესამე გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელე—რეშიდ-ბეი. რწმუნებულნი 23 აპრილს გაემგზავრებიან.

მუშათა გაფიცვა.

ლონდონი. სამხრეთ უელსში 50.000 მაღაროს მუშაა გაფიცული.

აჯანყება მექსიკაში.

ნიუ იორკი. გაზეთების ცნობით, მექსიკის მეამბოხეები კასკადაში დაეცნენ მატარებელს და 45 მგზავრი ამოჟლიტეს.

პარიზი. საფრანგეთის პარლამენტის არბიტრაჟის ჯგუფმა დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს ბერნის გერმანია-საფრანგეთის კონფერენციაში.

რუსეთი.

ოდესა. განაპირა უბანში აღმოაჩინეს ყალბ ვერცხლის ფულის მკეთებელთა სახელოსნო. დააპატიმრეს ორი კაცი.

მოსკოვი. კბილის ექიმთა კრებამ მიიღო პროექტი, მოაწყონ კბილის საექიმო ინსტიტუტები უმაღლეს სასწავლებელთა უფლებებით.

პეტერბურგი. 1913 წლის ენკენისთვის დასაწყისში დაიწყება მეცადინეობა ვორონეჟის სამეურნეო ინსტიტუტში. 80 კაცს მიიღებენ.

მოსკოვი. ვეტერინარიანელთა კრება დასრულდა. მეორე მოხდება 1914 წელს, ოდესაც.

პეტერბურგი. ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორმა მინისტრთა საბჭოში ფინლანდიის მორიგი სეიმის უქვეშევრდომილესი ადრესი წარადგინა. თარიღი 2—15 მარტია. ადრესი ფინლანდიის პოლიტიკურ მდგომარეობას ეხება. გენერალ-გუბერნატორი თავის მხრივ აღნიშნავს, რომ ადრესი შეიცავს ბრალდებაოა მთელ რიგს, რომელიც მთავრობისადმი არის მიმართული, ვითომც იგი არღვევს ფინლანდიის უფლებრივ მდგომარეობას და ეკონომიურ განვითარების პირობებს ჰსპობსო. ადრესს, გუბერნატორის აზრით, საგიტაციო ხასიათი აქვს და მიზნად დაუსახავს ჩაუნერგოს ადგილობრივ მოხელეებს და მცხოვრებთ მთავრობისადმი უპატივისმცემლობა და მის წინააღმდეგ ზომების მიღება. გუბერნატორი წინადადებას იძლევა ადრესი უყურადღებოდ დასტოვონ.

პეტერბურგი. „რეჩი“-ს რედაქტორი 500 მანეთით დააჯარიმეს.

პეტერბურგი. სენატმა განმარტა, 1910 წლის 14 ივნისის კანონის მე-56-ე მუხლი უკრძალავს ერთსა და იმავ კერძო, ან იურიდიულ პირს, გარდა სოფლის საზოგადოებისა, ერთს მაზრაში ექვსზე მეტ მამულის შეძენას, ან საჩუქრად მიღებას.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. ოთხშაბათს; 24 აპრილს ქართულ სახალ. წარმ. მმართ. წრის მიერ, **ნ. გვარაძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება დრამა ებრაელთა ცხოვრებიდან ევ. ჩირიკოვისა „ებრაელები“. მონაწილეობენ წრის სც.-მოყვარენი და თანამშრომელნი. ადგილების ფასი სახალხოა. 28 აპრილს, წარმოდგენილი იქნება „შეშლილები“, პიესა ტრ. რამიშვილისა და მხიარული ვოდევილი „არივ-დარივ“.

სპორტი

დღღი.

კვირას, 21 აპრილს, სადღღო მოედანზე ღღი გაიმართა.

პირველ შეჭენებაში მონაწილეობა ოთხმა ცხენმა მიიღო. ნ. ლიუქსის „კვიტ“-მა, ი. იედიგაროვის „ოიამამ“, ძმ. სულთან-გირეების „ედიგეიმ“ და დ. იედიგაროვის „მოეტ-შანდონმა“. ორი ვერსის მანძილი გაირბინა 2 წუთ. და 33 წამ. განმავლობაში და პირველი მოვიდა დანიშნულს ალაგას ძმ. გირეების „ედიგეი“. მან აიღო ჯილდო 214 მანეთი. მეორე მოჭენდა „ოიამა“ და მესამე კი—„მოეტ-შანდონი“. „კვიტი“ ყველას ჩამორჩა.

მეორე შეჯიბრებაში მონაწილეობა კიდევ ოთხ ცხენს უნდა მიეღო; მაგრამ ა. გადზარავის ცხენს „ფინალს“ წრეში გამოყვანის დროს, მხედარმა თავი ვერ შეუკავა, ცხენი გაჭენდა და, სანამ მთელ წრეს არ შემოუარა, არ გაჩერდა. ამის გამო ეს ცხენი შეჯიბრებაში აღარ იღებდა მონაწილეობას. დანარჩენ ცხენებთაგან ყველას გაუსწრო ა. ლაზარევის მემკვიდრეთა „კორსარმა“, რომელმაც 1 ვერ. 100 საჟ. მანძილი 1 წუთ. და 22 წამს გაირბინა. მას ერგო ჯილდო 179 მან., მეორე ცხენმა დ. იედიგაროვის „კარმენჩიტმა“ 50 მანეთი მიიღო.

მესამე შეჭენებაში ა. ლაზარევის მემკვიდრეთა „საკამბოლი“ აღარ გამოუშვეს. მონაწილეობას ოთხი ცხენი იღებდა. ყველას გაასწრო ა. ლაზარევის მემკვიდრეთა „სანდრილიონმა“, რომელმაც 2 ვერსის მანძილი 2 წუთსა და 31½ წამს გაირბინა. აიღო ჯილდო 214 მანეთი მას მოჰყვა დ. იედიგაროვის „ეუნიეკი“, რომელსაც 60 მანეთი ერგო, მესამე რიგში დარჩა ძმ. გირეების „რობულატი“, რომელსაც 15 მანეთი ერგო და უკანა-სკნელი იყო ვ. ყაზბეგის „ნირვანა“.

მეოთხე შეჭენება ფრიად საინტერესო იყო. დანიშნული იყო ჯილდო „საზოგადოების საპატიო წევრის ა. ლაზარევის სახელობის პატივსაცემლად 400 მან. ჩაწერილი იყო 7 ცხენი. ორი ცხენი გამოირიცხა, სულ ხუთი ცხენი გაჭენდა. თავ. ნ. მხეიძის „პატრიკი“ ბ. ტუსკაევის „სარმატკა“, ძმ. სულთან-გირეების „გელელა“ ა. ლაზარევის „ერიკი“ და ბ. ვოზნესენსკის ივანენკოს „გიბრალტარი“. დაწყებისთანავე წინ გასწია „პატრიკიმ“ და ბოლომდის პირველობა არავისთვის არ დაუთმია. მან 1 ნახ. ვერსის მანძილი 1 წუთსა და 43 ნახ. წამ. განმავლობაში გაირბინა და აიღო ჯილდო 281 მანეთი, მეორე რიგში მოჰხვდა „გელელა“ და აიღო ჯილდო 80 მანეთი, მესამე ცხენმა კი „ერიკმა“ 24 მანეთი აიღო. დანარჩენები უჯილდოვოდ დარჩნენ.

ბოლოს ფრიად საინტერესო შეჭენება იყო, ოფიცრებისა, რომელთაც წნულის ღობეებზე მოუხდათ ცხენების გადახტუნება. ამ შეჭენებაში მონაწილეობდნენ თავ. ნ. ანდრონიკაშვილი, ცხენით—„პერიკოლა“-თი ვ. ყაზბეგი—ცხენი—„კრამოლა“ და მ. ვოზნესენსკი—ცხენი—„რევერსი“. „რევერსი“ თავიდანვე ჩამორჩა; ასე რომ ერთმანეთს შეეჯიბრნენ—„კრამოლა“ და „პერიკოლა“. პირველად „კრამოლა“ დიდხანს მიდიოდა პირველი, მაგრამ ბოლოს ძლიერ დაეღალა; „პერიკოლა“ კი ისევ კარგად მიდიოდა და ბოლოს „კრამოლა“ შორს დასტოვა. თავ. ანდრონიკაშვილმა აიღო ჯილდო 24 მანეთი, ბ. ყაზბეგმა—80 მანეთი. მაყურებლებმა ტაშით დააჯილდოვეს პირველი.

წერილ. რედ. მიმართ.

ბ-ნ რედაქტორო! ამასთან ერთად ვარდგენ 4 მ. და 80 კ., ბ. თომანასიძის სახლში შეგროვილს, ჯარიმად ქართული ენის დამახინჯებისა გამო. უმორჩილესადა გთხოვთ ეს მცირე წვლილი შეუერთოთ დიდებულ მოქალაქის არჩ. ჯორჯაჯის სახელობის ფონდს.

მსახიობი ი. ივანიძე.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ჩემს პაწია წერილს.

როგორც მოგეხსენებათ, ქართველ მსახიობთა ამხანაგობის დახმარებით 25 აპრილს ქართულ თეატრში მე ვსდგამ ი. გედევანიშვილის 3 მოქ. პიესას „მსხვერპლს“; ესევე პიესა უნდა დაედგათ ზემოხსენებულ თეატრში 3 მაისს, ხარფუხის სახალხო სცენის მოყვარეებს. ეხლა კი იძულებულნი არიან **„მსხვერპლი“ „ქრისტინე“-თი** შესცვალონ.

ბოდიშს ვიხდი როგორც ხარფუხის სცენის მოყვარეების, აგრედვე მათს ხელმძღვანელთა წინაშე, რომ ასეთს მდგომარეობაში ჩავაყენე. დარწმუნებულნი იყვნენ, მე ეს განზრახ არ ჩამიდენია, არამედ მხედველობიდან გამომრჩა, რომ მათაც „მსხვერპლი“ ჰქონდათ წარმოსადგენად განზრახული.

პატივისცემით ქართულ დრამ. დასის სუფლიორი **ბეგ. ბეგლარიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჯუმბაძე.

კბილის
ექიმი ა. ბ. სოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. ბოლოდინის ბრ. № 12. 1334

ვაგზლის
სამეოგბიარო თავშესაფარი
ე. ლ. არშანინისა ჯ ს. ს. ხატიევისა
ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება
სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაკი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრედვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე.
თავშესაფ. გამგე **ექიმი ა. გ. ავეტისოვი.**
ვაგზლის ქუჩა № 2, ტელეფ. № 3—22
1018.

ქალაქის საავადმყოფოები
მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—სვაგურამოს ქ. 5.
ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭარო შეძთხვევებისა, როცა დამარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანეარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.

მექანიკური ნაწარმოები. 17ს.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. ქვირ. ავადმყ. არ იღებს. **მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.**

ექიმი კბილისა
ნინო ჩხეიძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდა ირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კან-სა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ვ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1, საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ. № 16. 1159

საჭიროა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთებისათვის **გამოცდილი გამყიდველი** დაბა ბორჯომში, წაღვერში, ბაკურიანში და აბა-თუმანში. პირობების გაგება შეიძლება **15 მაისამდე დ. სამტრედიაში გ. კოკალეიშვილთან.** 1177

ფოტოგრაფიულ აპარატებისა და სხვა
სახელსაწყო ნივთების საწყობი
ტ. მ. სტეფანიადისა.
ტფილისი, კიროვი ქ. № 10.
ახალი ფოტოგრფიული პლასტინკები, გამარჯვება (побѣда), **იმპერიალი** და **ქაღალდი გევერტია და სლონისა.**
დიდი არჩევა ფოტოგრაფიულ
გლანკებისა.
ფასი ხელმისაწდომია. 1139



გამუსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ერთად-ერთი
ამერიკულ ვაზის სანერგე
„კლოქოღურული ჟუთაისში“
ურჩევს და ჰყიდის საუკეთესო ყოველნაირ საძირე ამერიკულებზე დამყნილ ვაზებს, ყოველნაირ მიწებისათვის ერთად-ერთი საშუალებაა, რომ მიიღოთ გამძლე ვენახები, კარგ მოსავალი და კარგი თვისების ღვინო.
მყიდველებს ამორჩევა საუკეთესო და ახალი პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები.
კატალოგები, პრეის-კურანტები და ყოველგვარი ახსნა უფასოდ.
ქუთაისის კანტორა მიხაილოვის ქუჩა, სახლი ძმათა გოკიელოვებისა.
მისამართი წერილებისა და დეპეშისათვის: „КЛО-ЖГУРУЛИ“, Кутаисъ. 1108

განსაკუთრებით ქალების საერთო
ახალი აგანო
ბუნებრივი გოგირდის წყალი, ორი ცხელი ვანით, საგრილობელით, ელექტრონის განათებით და ყოველგვარ ახალ სატეხნიკო მოწყობით. ფასი შაურიდან სამ შაურამდე. ვორონცოვის ქუჩაზე, მარჯვნით სუფ-სარქისის შესახვევი, მეხუთე საპოლიციო ნაწილის პირდაპირ, **№ 4.**
ა. ბ. მურსაქულოვისა. 240

ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზ ო ლ ა ს
„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღარიებში“
ი. ბ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ნათარგმნი.
დაკვეთა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. სახ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუკრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. მ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კუტაისში**—მასწავლ. ბუაჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **ხილნარში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.
„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღარიებში“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107

მიგიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (ქავიარ.) **ხიზილალა**
თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები.
ბუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ № 712.
1131
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი საამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ფიტკა), ორაგული, თარაბარანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი